1. **ბავშვთა კოლექტივის ორგანიზაცია:** ა) სკოლის შინაგანაწესის გატარების უზრუნველყოფა; ბ) თითოეული მოსწავლის მიერ მოსწავლეთა წესების შესწავლა და წესების შეგნებულად დაცვის ჩვევების აღზრდა მათში; გ) მოსწავლეთა მორიგეობის მოწყობა; დ) კლასის მოსწავლეთა წარმომადგენლის არჩევა და მის მუშაობაზე ხელმძღვანელობა; ე) მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გამოტოვებისა და დაგვიანების მიზეზების შესწავლა და გაცდენების სრული აღმოფხვრისათვის ღონისძიებათა გატარება.

2. **სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა:** ა) საშინაო დავალებათა შესრულების სისტემატური შემოწმება, ჩამორჩენილობის მიზეზთა გამორკვევა და მათი აღმოფხვრისათვის ღონისძიებათა გატარება; ბ) მოსწავლეთა დღიურების სისტემატური შემოწმება; გ) მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ღონისძიებათა გატარება: აღმზრდელობითი ხასიათის ლიტერატურის კითხვა, ბელადებისა და საბჭოთა კავშირის გმირების ბიოგრაფიების გაცნობა, გაზეთის კოლექტიური კითხვა, რევოლუციური დღესასწაულების ჩატარებაში მონაწილეობა, საუბრებისა და მოხსენებების მოწყობა საერთაშორისო საკითხებზე კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციებთან ერთად და სხვ.; დ) ღონისძიებათა გატარება მოსწავლეებში კულტურული ჩვევების დანერგვისათვის; ე) ღონისძიებანი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ხაზით; ვ) მოსწავლეთა ჩაბმა სკოლის აკადემიურ და მხატვრულ წრეებში; ზ) მოსწავლეთა მომსახურება სანახაობებით (თეატრი, კინო).

3. **მშობლებთან მუშაობა:** ა) მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაცნობა; ბ) მშობელთა საკლასო კრებების მომზადება, ინდივიდუალური საუბრების ჩატარება მშობლებთან.

4. **საორგანიზაციო მუშაობა;** ა) მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და კლასის წარმატების აღრიცხვის ჟურნალის მოწესრიგება; ბ) მეოთხედური ანგარიშების შედგენა კლასის წარმატების შესახებ; გ) სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვის ღონისძიებათა გატარება კლასში.

კლასის ხელმძღვანელი გეგმას ადგენს ყოველი სასწავლო მეოთხედის წინ და დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის დირექტორს, გამგეს.

კლასის ხელმძღვანელის მეოთხედური გეგმა შემდეგი ფორმით უნდა შედგეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა | | შესრულების აღრიცხვა |
|---|---|---|---|---|
| | | დაწყება | დამთავრება | |
| I | | | | |
| | 1 | | | |
| | 2 | | | |
| | 3 | | | |
| | და ა. შ. | | | |
| II | | | | |
| | 1 | | | |
| | 2 | | | |
| | 3 | | | |
| | და ა. შ. | | | |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რომაული ციფრის გასწვრივ დაიწერება გეგმის ნაწილის სახელწოდება, ხოლო არაბულისა — ღონისძიებანი, შესასრულებელი საკითხები.

## V. მასწავლებლის მუშაობის გეგმის სტრუქტურა, შინაარსი და ფორმა

როგორც ამ მითითებათა პირველ თავშია აღნიშნული, მასწავლებელს მოეთხოვება შემდეგი გეგმები: ა) საგნის წლიური კალენდარული გეგმა და ბ) გაკვეთილის გეგმა.

1. **საგნის წლიური კალენდარული გეგმა.** საგნის წლიური კალენდარული გეგმა ითვალისწინებს: ა) რა თემები უნდა იყოს შესწავლილი წლის განმავლობაში; ბ) რამდენი საათი დაეთმობა თითოეულ თემას; გ) რა ვადაში იქნება დამუშავებული ეს თემები (დაიწყება და დამთავრდება).

საგნის წლიური კალენდარული გეგმა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

საგნის წლიური კალენდარული გეგმა

| | |
|---|---|
| ვამტკიცებ: | სკოლა (დასახელება) .................................... |
| სკოლის დირექტორი, გამგე | კლასი .................................... |
| .................................... | საგანი .................................... |
| 19..........წ. „..............." | მასწავლებელი (გვარი და სახელი).................... |

| №№ რიგ. | თემის დასახელება მეოთხედების მიხედვით | საჭირო საათების რაოდენობა | ვადა | | შესრულება |
|---|---|---|---|---|---|
| | | | დაწყ. | დამთავრ. | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| I | პირველი მეოთხედი | | | | |
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| II | მეორე მეოთხედი და ა. შ. | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი ................................................(ხელმოწერა)

გეგმა განხილულია
სასწავლო ნაწილის გამგე ................................................(ხელმოწერა)

19.........წ. „..........“..........................................

პირველ სვეტში იწერება ნომერი რიგზე, მე-2 სვეტში — საგნის ოფიციალური პროგრამით გათვალისწინებული თემები ან მათი მთავარი ნაწილები (სასწავლო მეოთხედების მიხედვით). მე-3 სვეტში — ამ თემის დამუშავებისათვის საჭირო საათების რაოდენობა, მე-4-5 სვეტში — თემის დაწყება და დამთავრება (გამოანგარიშება თემის სწავლების ვადისა სასწავლო ცხრილის მიხედვით); მე-6 სვეტი განკუთვნილია გეგმის შესრულების მიმდინარეობის აღნიშვნისათვის.

მასწავლებელი გეგმას ადგენს ყოველი კლასისა და საგნის მიხედვით და წარუდგენს სასწავლო ნაწილის გამგეს, რომელიც თავის მხრივ განხილვისა და სათანადო შესწორების (როცა ეს საჭირო იქნება) შემდეგ, თავისი ხელისმოწერით, დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს.

2. **გაკვეთილის გეგმა.** სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას ჩვენს სკოლაში გაკვეთილი წარმოადგენს. გაკვეთილის მაღალ იდეურ და მეცნიერულ-პედაგოგიკურ დონეზე ჩატარებისაგან არის უწინარეს ყოვლისა დამოკიდებული სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი სკოლაში. ამდენად, მასწავლებლის მუშაობის დაგეგმვის მთელ სისტემაში გაკვეთილის დაგეგმვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებელი ვალდებულია საგნის პროგრამის, სახელმძღვანელოების, სპეციალური და პედაგოგიკურ-მეთოდიკური ლიტერატურის გამოყენებით შეადგინოს ყოველი გაკვეთილის გეგმა.

გაკვეთილის გეგმა განპირობებულია იმით, თუ რა სახის გაკვეთილი (ახალი მასალის ახსნა, კომბინირებული, განმეორება, ცოდ-

ნის შემოწმება-შეფასება) იქნება ჩატარებული, რა საგანში, რა მასალაზე, რა მეთოდით და სხვა. ამის გამო, შეუძლებელია გაკვეთილის გეგმისათვის რაიმე საერთო, სტანდარტული ფორმის დაწესება. მიუხედავად ამისა, ყოველგვარი გაკვეთილის გეგმისადმი მაინც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ერთიანი მოთხოვნები. გაკვეთილის გეგმის შედგენის დროს მასწავლებელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: ა) გაკვეთილის თემა ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული, მასში უნდა ჩანდეს გაკვეთილის მიზანდასახულება; ბ) გაკვეთილის გეგმით თანმიმდევრული სახით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ახალი მასალის (თუ ახალი მასალის გადაცემის ან კომბინირებული გაკვეთილია) ძირითადი საკითხები, აღმზრდელობითი ამოცანები, რა სახის ცდები იქნება დაყენებული, რა სავარჯიშოები შესრულდება და რა დიდაქტიკურ თუ სხვა ხელსაწყოებს გამოიყენებს მასწავლებელი; გ) გეგმაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, თუ რა სახის საშინაო დავალება მიეცემა კლასს.

დირექტორის, გამგისა ან მისი მოადგილისათვის სასწავლო ნაწილში გაკვეთილის გეგმის წარდგენა დასამტკიცებლად საჭირო არ არის. დირექტორმა, გამგემ და მისმა მოადგილემ დროგამოშვებით უნდა შეამოწმონ გეგმა და მისცეს სათანადო მითითება მასწავლებელს გაკვეთილის სწორად დაგეგმვისათვის. უგეგმოდ მასწავლებლის შესვლა გაკვეთილზე, რაგინდ გამოცდილი მასწავლებელი უნდა იყოს იგი, დაუშვებელია.

## VI. გეგმების შესრულების შემოწმება, გეგმების დაცვა

ყოველგვარი გეგმა, საუკეთესოდ შედგენილიც კი, მხოლოდ ცარიელ, ფორმალურ დოკუმენტად დარჩება, თუ სისტემატურად არ ხდება მისი შესრულების შემოწმება და კონტროლი. გეგმის შესრულების შემოწმება და კონტროლი ხელმძღვანელობის ძირითადი საშუალებაა.

შესრულების შემოწმება უნდა მიმდინარეობდეს ორი გზით: ერთი — სისტემატური მიმდინარე თვითშემოწმების გზით, როცა თითოეული მუშაკი (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი) სისტემატურად, ყოველდღიურად, გზადაგზა აწარმოებს თავისი მუშაობის შემოწმებას გეგმის შესრულების თვალსაზრისით, ახდენს საამისო აღნიშვნას გეგმის სპეციალურ სვეტში, აჯამებს მუშაობის შედეგებს და წერილობით ანგარიშს უდგენს ხელმძღვანელობას; და მეორე — შესრულების სისტემატური შემოწმების, კონტროლის გზით, რომელსაც ახორციელებენ ხელმძღვანელები, პირველ რიგში, თვით სკოლის დირექტორი (გამგე) და მისი მოადგილე სასწავლო ნაწილში.

სკოლის დირექტორს (გამგეს) მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ის არის სახელმწიფოებრივი კონტროლის წარმომადგენელი ადგილზე და შესრულების შემოწმებისა და კონტროლის საქმეს უნდა ეკიდებოდეს მაღალი პასუხისმგებლობით. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით, იგი უნდა ამჟღავნებდეს სკოლის მუშაობის ყველა ნაკლს და დაუყოვნებლივ ატარებდეს ღონისძიებებს ამ ნაკლის აღმოფხვრისათვის. მხოლოდ ასეთ პირობებში გაამართლებს გეგმა თავის დანიშნულებას.

ამასთან, სკოლის დირექტორი და სკოლის ყველა მუშაკი მთელი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ გეგმების მოვლისა და დაცვის საქმეს. გეგმები სუფთად და წესიერად უნდა ინახებოდეს გარკვეულ ადგილას. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ყველა სამუშაო გეგმა აღწერილ უნდა იქნეს, თითოეული მათგანი დაინომროს და ყდაში ჩასმული გადაეცეს სკოლის არქივს. არა მარტო 1 — 2 წლის შემდეგ, არამედ ყოველ დროს, სხვა სასკოლო დოკუმენტებთან ერთად სკოლის სამუშაო გეგმების ნახვა ადვილად უნდა შეიძლებოდეს.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველო**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი

## სკოლის წლიური მუშაობის გეგმა (ტიპიური)

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა | | შემსრულებელნი | შესრულების აღნიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაწყ. | დამთავრ. | | |
| | **I. ღონისძიებანი სასწავლო წლის დაწყებისათვის** | | | | |
| 1 | სკოლის მომსახურების ტერიტორიაზე მცხოვრებ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ასაკის ბავშვთა დამატებით აღრიცხვა-შემოწმება და სკოლაში მათი ჩაბმის უზრუნველყოფა . . . . . . . . . . . | 20/VIII | 27/VIII | სკოლის დირექტორი, გამგე, მშობელთა და მასწავლებელთა მონაწილეობით | |
| 2 | სასკოლო შენობის, ეზოს, დეკორატიული ბაღის, სასპორტო მოედნის, სასკოლო მიწის ნაკვეთის, სასკოლო ლაბორატორია-კაბინეტების, სასკოლო ბიბლიოთეკის სრულ წესრიგში მოყვანა . . . . . . . | 20/VIII | 24/VIII | დირექტორი, დირექტორის თანაშემწე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილში, სკოლის გამგე | |
| 3 | განმეორებითი გამოცდების ჩატარება საგამოცდო ცხრილის მიხედვით . . . . . . . . . . | 20/VIII | 28/VIII | სკოლის დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 4 | სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით მოსწავლეთა უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარება . . . . | 20/VIII | 25/VIII | სკოლის დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე, კლასის ხელმძღვანელები | |
| 5 | მასწავლებელთა შორის გაკვეთილების საბოლოოდ განაწილება | 22/VIII | 25/VIII | სკოლის დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე. | |
| 6 | სტაბილური სამეცადინო ცხრილის შედგენა . . . . . . . . | 22/VIII | 25/VIII | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწ. გამგე | |
| 7 | საკლასო-მეთოდური და საგნობრივი კომისიების ხელმძღვანელების შერჩევა . . . . . . | 25/VIII | 28/VIII | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწ. გამგე | |

| №№ გზენი | შესასრულებელი საკითხები | ვადა | | შემსრულე-ბელნი | შესრულების აღნიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაწყ. | დამ-თავრ. | | |
| 8 | ახლადდამწყებ მასწავლებელთა შორის წინასწარი საუბრების ჩატარება და მათი მუშაობისათვის ყოველმხრივი პირობების შექმნა . . . . . . . | 20/VIII | 30/VIII | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 9 | თითოეული კლასის მოსწავლეთა სიის საბოლოო დაზუსტება, კლასის ხელმძღვანელების გამოყოფა, საკლასო ჟურნალების შევსება, საკლასო ოთახების მიჩნევა კლასებისათვის . | 27/VIII | 29/VIII | დირექტორი, გამგე, სასწავლო, ნაწილის გამგე | |
| 10 | სამეცადინო ცხრილის, სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების და სხვა უმთავრესი დოკუმენტების მინიან ჩარჩოებში ჩასმა და სათანადო ადგილებში გაკვრა . | 22/VIII | 28/VIII | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწ. გამგე, დირექტორის თანაშემწე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილში | |
| 11 | მასწავლებელთა მორიგეობის განრიგის შედგენა და სამასწავლებლო ოთახში გამოკვრა | 25/VIII | 28/VIII | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 12 | სასწავლო წლის პირველი ნახევრის სამუშაო გეგმის შედგენა | 25/VIII | 30/VIII | დირექტორი, გამგე, სასწ ნაწ. გამგე | |
| 13 | კლასის ხელმძღვანელების, მეთოდური კომისიების ხელმძღვანელების, ლაბორატორია-კაბინეტების, მასწავლებლების, მოსწავლეთა, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისა და სასკოლო კომიტეტის, მშობელთა კომიტეტის სამუშაო გეგმების შედგენა სათანადო ფორმით . . . . . . . . . . | 20/VIII | 30/VIII | სკოლის დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე, კლასის ხელმძღვანელები, მასწავლებლები, მოსწავლეთა ორგანიზაციები, მშობელთა კომიტეტი | |
| 14 | მეთოდური ერთდღიურის ჩატარება სასწავლო წლის პირველი დღის ჩატარების საკითხებზე . . . . . . . . . . . | 25/VIII | 30/VIII | დირექტორი. გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა: დაწყ. | ვადა: დამთავრ. | შემსრულებელნი | შესრულების [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| | **II — სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია** | | | | |
| 1 | სისტემატურ ღონისძიებათა გატარება იმისათვის, რომ თითოეული მასწავლებელი თავის საგანსა და კლასში დროულად და მაღალხარისხოვნად ასრულებდეს პროგრამას, უზრუნველჰყოფდეს თითოეული მოსწავლის მიერ ცოდნა-ჩვევის შეგნებულად, მტკიცედ და საფუძვლიანად დაუფლებას, ატარებდეს ყოველ გაკვეთილს გეგმიანად და მომზადებულად, პროგრამისა და წლიური კალენდარული გეგმის საფუძველზე ადგენდეს ყოველი გაკვეთილის გეგმას . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე, მასწავლებლები | |
| 2 | სწავლის პროცესში მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გზებისა და საშუალებების დასახვა ცალკე სასწავლო საგნებისა და კლასების მიხედვით, კომუნისტური მორალის აღზრდის საქმის ხელმძღვანელობა და შემოწმება, ყოველ მეოთხედში ერთჯერ ამ საკითხის საგანგებოდ განხილვა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| | ღონისძიებათა დასახვა და გატარება სასკოლო ექსპერიმენტების ჩატარებისა და თვალსაჩინოების განხორციელებისათვის სწავლებაში. ამ მიმართულებით მასწავლებლის მუშაობის შემოწმება წელიწადში ორჯერ, შეჯამებული შედეგების მოსმენა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და მოწინავე გამოცდილების განზოგადება . . . | სისტემატურად | | სასწავლო ნაწილის გამგე, სკოლის გამგე | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა | | შემსრულებელნი | |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაწყ. | დამთავრ. | | |
| 4 | სისტემატური ხელმძღვანელობისა, დახმარებისა და კონტროლის განხორციელება ფიზიკური აღზრდის საქმეზე, ამ მიზნით გაკვეთილებზე დასწრება და ღონისძიებების გატარება არსებული ნაკლის გამოსასწორებლად . . . . . . . . . | სისტემატურად | | სკოლის დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 5 | სისტემატური ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაწესება მხატვრული აღზრდის საქმეზე. ამ მიზნით გაკვეთილებზე დასწრება, მიღწევებისა და ნაკლოვანებების გამომჟღავნება და თანმიმდევრულ ღონისძიებათა გატარება . . . . . . | სისტემატურად | | სკოლის დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 6 | სწავლებაში ფორმალიზმის აღმოფხვრისა და შეგნებულობის განხორციელების მიზნით მასწავლებელთა მუშაობის შემოწმება და სათანადო ღონისძიებათა დასახვა-გატარება . . . | სისტემატურად | | სკოლის დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 7 | თითოეული მოსწავლის პირობების შესწავლა ოჯახში და ყოველმხრივი ხელის შეწყობა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის, კლასის ხელმძღვანელების მუშაობის შემოწმება ამ მიმართულებით და შედეგების მოსმენა პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე . | სისტემატურად | | სკოლის გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე, მასწავლებლები | |
| 8 | მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის მოსწავლეთა რამდენადმე მომზადების მიზნით სათანადო კავშირის დამყარება წარმოებებთან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან, კოლმეურნეობებთან, ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის განხილვა ერთ-ორჯერ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე, მასწავლებლები | |

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა: დაწყ. | ვადა: დამთავრ. | შემსრულებელნი |
|---|---|---|---|---|
| 9 | მოსწავლეთა წიგნიერებისა და მათში წერითი და ზეპირი მეტყველების მაღალი კულტურის აღზრდისათვის ღონისძიებათა დასახვა და გატარება; ამ საქმეში მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა ორგანიზაციების ფართოდ ჩამბა . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე, ძასწავლებლები |
| 10 | მოსწავლეთა ცოდნის შეფასება, ამ მიმართულებით მასწავლებელთა მუშაობის შემოწმება და შესაფერი ღონისძიებების გატარება . . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე |
| 11 | მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა აღრიცხვა, თითოეული მათგანის მუშაობის პირობების შესწავლა და ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე სწავლის ნორმალური პირობების შექმნა, შედეგების პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე მოსმენა და სათანადო ღონისძიებათა გატარება მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე |
| 12 | მოსწავლეთა მიერ შეგნებული დისციპლინის მტკიცედ დაცვასა და მოსწავლეთა წესების განუხრელად გატარებაზე ზედამხედველობის დაწესება, საკითხის მოსმენა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე . . . . . | სისტემატურად | | სკოლის დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე |
| 13 | სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების შეჯამება ყოველი მეოთხედის ბოლოს და საკითხის მოსმენა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე . . . . . . . . . . . | სასწ. მეოთხედების ბოლოს | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე, მასწავლებლები |

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა | | შემსრულებელნი | შენიშვნები |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაწყ. | დამთავრ. | | |
| | **III. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა** | | | | |
| 1 | კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მთლიანად დაქვემდებარება სკოლის ამოცანებისათვის, სკოლისა და კლასგარეშე მუშაობის დარგში მოსწავლეთა გადატვირთვის აღმოფხვრა და დაწესებული რეჟიმის მტკიცედ დაცვა . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე | |
| 2 | მოსწავლეთა შორის კლასგარეშე და სკოლისგარეშე იდეურ-პოლიტიკურ და აღმზრდელობით მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაწესება . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 3 | აკადემიური, ტექნიკური და ნორჩ მიჩურინელთა წრეების ჩამოყალიბება, ხელმძღვანელთა გამოყოფა, მათ მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაწესება, საკითხის მოსმენა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე წელიწადში 2-3-ჯერ | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე, კლასის ხელმძღვანელები | |
| 4 | მოსწავლეთა შორის სკოლისა და კლასგარეშე ფიზიკურ-გამაჯანსაღებელი და სასპორტო მუშაობის გეგმების შედგენა და ამ გეგმების შესრულების ხელმძღვანელობა და კონტროლი . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე, ექიმი, ფიზკულტურის ხელმძღვანელი | |
| 5 | მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის მასობრივ ღონისძიებათა დამუშავება და ამ ღონისძიებათა შესრულების უზრუნველყოფა . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე, ხატვისა და მუსიკის მასწავლებლები | |
| 6 | მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე კითხვის სწორად ორგანიზება, ამ საქმეში კლა- | | | | |

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა | | შემსრულე-ბელნი | შესრულების აღნიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაწყ. | დამ-თავრ. | | |
| | სის ხელმძღვანელების, მშობლების, მოსწავლეთა ორგანიზაციების ჩაბმა და პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე საკითხის მოსმენა წელიწადში 2-3 ჯერ . . . . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე, ბიბლიოთეკარი | |
| 7 | მათემატიკაში, ტექნიკურ დარგებში, ლიტერატურაში, მუსიკაში, ხატვაში, ქანდაკებაში განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის მოწყობა, მუშაობის მიმდინარეობის შემოწმება და სათანადო ღონისძიებათა დასახვა-გატარება | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე, სათანადო საგნების მასწავლებლები | |
| 9 | სკოლისგარეშე დაწესებულებებთან — პიონერთა სახლებთან, კლუბებთან, ბავშვთა სადგურებთან მტკიცე კავშირის დამყარება და მათთვის მუშაობაში დახმარების გაწევა . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე, მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები | |
| | **IV. მუშაობა მასწავლებლებთან** | | | | |
| 1 | პედაგოგიური საბჭოს სხდომების ჩატარების კალენდარული გეგმების შედგენა სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის მიხედვით, განსახილველი საკითხების გათვალისწინებით; პედაგოგიური საბჭოს დადგენილებათა შესრულების შემოწმება საბჭოს მომდევნო სხდომებზე და შედეგების შეჯამება . . . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე, | |
| 2 | მასწავლებელთა საგნობრივ-მეთოდური კომისიების ჩამოყალიბება, ნახევარი წლის სამუშაო გეგმების შედგენა-დამ- | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა დაწყ. | ვადა დამთავრ. | შემსრულებელნი | შესრულების აღრიცხვა |
|---|---|---|---|---|---|
| | ტკიცება და მათი შესრულების ხელმძღვანელობა და კონტროლი . . . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწილის გამგე | |
| 3 | სკოლის პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლების ღონისძიებათა დასახვა და მათი შესრულების საქმეში ამ ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევა . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე | |
| 4 | საბჭოთა პედაგოგიკის თეორიის, პედაგოგიკის ისტორიის, მეთოდიკის და ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხების შესახებ ლექციების ჩატარება მასწავლებელთა შორის . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 5 | მასწავლებლის პედაგოგიურ - მეთოდურ დახელოვნების ღონისძიებათა სისტემატურად გატარება ღია გაკვეთილების მოწყობით, ურთიერთ გამოცდილებათა გაზიარებით, გამოფენების მოწყობით და სხვ. . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 6 | მასწავლებელთა შორის პოლიტიკური, მეცნიერული, პედაგოგიკური, მეთოდიკური და სხვ. ლიტერატურისა და ჟურნალ - გაზეთების გავრცელება, ახლად გამოსული ლიტერატურისა და ჟურნალების შესახებ საანოტაციო მუშაობის წარმოება . . . . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 7 | დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მასწავლებელთათვის სისტემატურად ხელისშეწყობა საზოგადოებრივი დავალებებისაგან განტვირთვით, ლიტერატურის მიწოდებითა და სხვა საშუალებით . . . . . . . | სასწავლო წლის პირველი ნახევრიდან | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა | | შემსრულებელნი | შესრულების აღნიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაწყ. | დამთავრ. | | |
| 8 | პედაგოგიური კაბინეტის (კუთხის) მოწყობა (სადაც ეს შესაძლებელია) . . . . . . . | სასწავლო წლის პირველ ნახევარში | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| | **V. კომკავშირული, პიონერული და მოსწავლეთა ორგანიზაციები, მშობელთა შორის მუშაობა** | | | | |
| 1 | კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციების გეგმების შედგენაში მონაწილეობა და ღონისძიებათა გატარება მათი მუშაობის წასამართავად საკ. ალკკ ც.კ-ისა და საქართველოს ალკკ ც.კ-ის დადგენილებებისა და დირექტივების შესაბამისად . . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე, კლასის ხელმძღვანელები | |
| 2 | მოსწავლეთა სასკოლო კომიტეტის არჩევა, მოსწავლეთა კომიტეტის მუშაობის გეგმების შედგენა - დამტკიცება და მათი შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარება; მოსწავლეთა კომიტეტის მუშაობის მოსმენა პედსაბჭოს სხდომაზე წელიწადში 2 - 3-ჯერ . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 3 | კლასის ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა მუშაობის შემოწმება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად სწორად, დროულად და მაღალხარისხოვანად ასრულებენ ისინი თავიანთ მუშაობას კომკავშირულ, პიონერულ და მოსწავლეთა ორგანიზაციებში, სისტემატურ ღონისძიებათა გატარება იმისათვის, რომ ყოველ მასწავლებელს ჰქონდეს მუდმივი დავალება და ასრულებდეს ამ დავალებას დროულად და ხარისხიანად . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე | |
| 4 | წელიწადში ორჯერ კომკავშირულ, პიონერულ და მოსწავ- | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა | | შემსრულე-ბელნი | შესრულების აღნიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაწყ. | დამ-თავრ. | | |
| | ლეთა სასკოლო ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება, პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე მოსმენა და სათანადო ღონისძიებათა დასახვა-გატარება . . . . . . . . . . . . | 1 და 3 მეოთხედების ბოლოს | | დირექტორი, გამგე | |
| 5 | მშობელთა რწმუნებულების (კლასების მიხედვით) და მშობელთა კომიტეტის არჩევა, მშობელთა კომიტეტის სამუშაო გეგმების შედგენა, მშობელთა კომიტეტის მუშაობაზე ხელმძღვანელობა . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე | |
| 6 | მშობელთა კომიტეტის მუშაობის ანგარიშის განხილვა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის ბოლოს . . | სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის ბოლოს | | დირექტორი, გამგე, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე | |
| 7 | მშობელთა ღია დღის დაწესება (თვეში ერთი დღისა) სკოლაში და ამ დღეს მშობელთათვის ლექციების ჩატარება პედაგოგიკის, განსაკუთრებით ოჯახში ბავშვთა აღზრდის აქტუალურ საკითხებზე, სათანადო საკონსულტაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობის მოწყობა მათთან ბავშვების სწავლა-აღზრდის შესახებ . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე, მშობელთა კომიტეტის თავ-რე | |
| | **VI. სკოლის ადმინისტრაციულ-სამეურნეო მუშაობა** | | | | |
| 1 | სკოლის წლიური ბიუჯეტის დამუშავება და შესრულების ხელმძღვანელობა . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე | |
| 2 | სასკოლო შენობის მოვლა-დაცვა. | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, დირექ. თანაშ. ადმ. სამეურ. ნაწილში | |

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა დაწყ. | ვადა დამთავრ. | შემსრულებელნი | შესრულების აღნიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | დაწესებულ სასკოლო-სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვის ღონისძიებათა გატარება . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, დირექ. თანაშემწე ადმ. სამეურ. ნაწილში | |
| 4 | სასკოლო ავეჯის, ლაბორატორია-კაბინეტების, დარბაზის, სასპორტო მოედნის და სხვა მოწყობილობათა შევსება და დაცვა, სასკოლო ინვენტარის, სასკოლო მიწის ნაკვეთის ინვენტარისა და იარაღ-ხელსაწყოების შეკეთება, შევსება და დაცვა | სისტემატურად | | „ | |
| 5 | მასწავლებლისა და მოსწავლეთა სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მოვლა-შევსება და სრულ წესრიგში მოყვანა, მოსწავლეთათვის დამოუკიდებელი მუშაობის პირობების შექმნა . . . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწავლო ნაწილის გამგე, ბიბლიოთეკის გამგე | |
| 6 | სპეციალური სახსრების სწორი დაგეგმვა და ამ სახსრების სწორი გამოყენება . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, დირექ. თანაშ. ადმ. სამეურ. ნაწილში | |
| 7 | მოსწავლეთა პირადი საქმეების სრულ წესრიგში მოყვანა და მათი სწორად წარმოება, მოვლა და დაცვა . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი. გამგე, კლასის ხელმძღვანელები | |
| 8 | მასწავლებელთა პირადი საქმეების სრულ წესრიგში მოყვანა და დაცვა დაწესებული ინსტრუქციის მიხედვით . . . | სასწ. წლის პირველ ნახევარში | | დირექტორი, გამგე | |
| 9 | საინვენტარო წიგნის დადგენილ წესების მიხედვით წარმოება და დაცვა . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტ., გამგე, დირექტ. თანაშ. ადმ. სამ. ნაწ-ში | |
| 10 | სკოლის დღიურის — მატიანეს სისტემატურად წარმოება და შედეგების შეჯამება ყოველი მეოთხედისათვის . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, სასწ. ნაწ. გამგე, მორიგე მასწავლებელი | |

| №№ რიგზე | შესასრულებელი საკითხები | ვადა | | შემსრულე-ბელნი | შენიშვნები |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაწყ. | დამ-თავრ. | | |
| 11 | საკანცელარიო საქმეების სრულ წესრიგში მოყვანა და დაწესებული ინსტრუქციის მიხედვით წარმოება . . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, დირექტორის თანაშემწე ადმ. სამ. ნაწილში | |
| 12 | სკოლის არქივის წარმოება, მოვლა და დაცვა ინსტრუქციის მიხედვით . . . . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე, დირექ. თანაშემწე ადმ. სამ. ნაწილში | |
| 13 | ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გეგმის შედგენა-დამტკიცება დი მისი შესრულების ხელმძღვანელობა . . . . | სისტემატურად | | " | |
| 14 | ზემდგომ ორგანოებში ანგარიშების წარდგენა დადგენილი ვადების მიხედვით . . . . . . | სისტემატურად | | დირექტორი, გამგე | |